

თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტი აცხადებს მიღებას 2017-2018 სასწავლო წლისათვის შემდეგ სადოქტორო პროგრამაზე:

1. ციფრული და გეომეტრიული მოდელირება - 7 ადგილი

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

პირველი ეტაპი: რეგისტრაცია

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ 2017 წლის 24 ივნისიდან 20 აგვისტომდე შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი დეკანის სახელზე.
2. CV.
3. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი.
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
5. რეფერატი შესაბამისი სამეცნიერო თემატიკაზე. საკვლევი თემის მიზანშეწონილობა და რელევანტურობა შეთანხმებული უნდა იყოს ხელმძღვანელთან.
6. სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.
7. დარგის პროფესორის სარეკომენდაციო წერილი.

მეორე ეტაპი: მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ინგლისურ ენაში (B II დონე) ან წარმოადგინონ შესაბამისი დონის სერტიფიკატი*.

მესამე ეტაპი: პრეზენტაცია - 2017 წელი 8 სექტემბერი.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველებმა უნდა გაიარონ გასაუბრება/პრეზენტაცია.

დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინამეწარადგენს პრეზენტაციას საკვლევი თემის პრობლემატიკის შესახებ**

გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდნენ მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანატში (მის:

გრიბოედოვის ქ. #22, ახალი კორპუსისი მე-4 სართული, დეკანატი)

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე, კანდიდატი

ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას თსსა-სთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

დოქტორანტურაში სწავლის მსურველები დაგვიკავშირდნენ:

თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტი (მის: გრიბოედოვის ქ. #22, ახალი კორპუსისი მე-4 სართული, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანატი).
ტელ. 293 2972

საკონტაქტო პირები:

მანანა სუხიტაშვილი - 599 91 0540

